შპს ბილჯ ვოტერ
საქართველო, 0162 თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქ. № 70
ბინა № 86, ტელ.: 995 599381000
ელ. ფოსტა: bilgewater.ge@yahoo.com

BILGE WATER
Keeping the waters blue

LLC BILGE WATER
86 App. 70 Irakli Abashidze St. Tbilisi 0162, Georgia 2
mob.: 995 599381000
e-mail: bilgewater.ge@yahoo.com

**№ 166**

**25 მაისი 2020 წ.**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**სოფლის მეურნეობის სამინისტროს**

**ქალბატონო/ბატონო,**

გაცნობებთ, რომ შპს „ბილჯ ვოტერ"-ს დაგეგმილი აქვს სახიფათო თხევადი ნარჩენების განთავსება პირდაპირ, ან/და საჭიროების შემთხვევაში მათი წინასწარ დამუშავების (სეპარაციის) შედეგად გამოცალკევებული ტექნიკური წყლის განთავსება არსებულ N7 ჭაბურღილში.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებს მიეკუთვნება: ნარჩენების განთავსება (ქვეპუნქტი 10.2.) და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება (ქვეპუნქტი 10.4.).

ამავე კოდექსის, მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ შპს „ბილჯ ვოტერ"-ის სახიფათო თხევადი ნარჩენების განთავსების პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

***დანართი:***

1. შპს „ბილჯ ვოტერ"-ის სახიფათო თხევადი ნარჩენების განთავსების პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია;
2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

**პატივისცემით,**
**შპს „ბილჯ ვოტერ"-ის დირექტორი**
**დავით ჩიქოვანი**

№ 7740
"25" 05 2020
1/37 C